შეთანხმება

ქ. დუშეთი

5 ივნისი 2017 წ.

ერთის მხრივ, 2017 წლის 1 ივნისს დადებული N 15 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების მხარეები სსიპ -დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ არაგვისპირის საჯარო სკოლა, წარმოდგენილი მისი დირექტორის მამუკა არაბულის სახით (შემსყიდველად წოდებული) და მეორეს მხრივ, შპს ,,ბიბლუსი" წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი გაგნიძის სახით (მიმწოდებლად წოდებული) ამავე ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.1 პუნქტის შესაბამისად, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ჩვენს შორის 2017 წლის 1 ივნისს დადებული N15 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების 1-ლი მუხლის 1.1 პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1.1 ხელშეკრულების საგანია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „სკოლების საგრანტო დაფინანსების" პროგრამის „თავისუფალი გაკვეთილების" პროგრამის ფარგლებში (პროგრამის კოდი 32 02 13) საკანცელარიო საქონლის (CPV 30100000) და წიგნის (CPV 22110000) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

2. ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1 პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.1 ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 20,25 (ოცი ლარი და ოცდახუთი თეთრი) ლარს.

3. ხელშეკრულების მე-4 მუხლში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 2017 წლის 5 ივნისის ჩათვლით."

4. ხელშეკრულების მე-13 მუხლში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 1 აგვისტომდე.

5. ასევე,2017 წლის 1 ივნისს დადებული №15 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტში შევიდეს ცვლილება და ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ ჩვენ,ერთი მხრივ,შპს „ბიბლუსი"(შემდგომში-მიმწოდებელი)წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი გაგნიძის სახით,ხოლო,მეორე მხრივ,სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ არაგვისპირის საჯარო სკოლა (შემდგომში-შემსყიდველი),წარმოდგენილი მისი დირექტორის მამუკა არაბულის სახით,ვადასტურებთ,რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „სკოლების საგრანტო დაფინანსების" პროგრამის „თავისუფალი გაკვეთილების"პროგრამის (პროგრამის კოდი 32 02 13) ფარგლებში,მიმწოდებელმა შემსყიდველს მიაწოდა,ხოლო შემსყიდველმა მიიღო 2017 წლის 1 ივნისს შესყიდვის თაობაზე დადებული №15 ხელშეკრულების საფუძველზე წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული საქონელი,რომლის ღირებულებაც შეადგენს 20,25

(ოცი ლარი და 25 თეთრი) ლარს.

1, მარკერი 1 ცალი - 2,85 ლარი.
2, ჭიკარტი 1 ცალი - 0,85 ლარი.
3. ჭიკარტი ლურსმანი ფერადი 1 ცალი - 0,65 ლარი
4. კალამი ყვითელი - 15 ცალი - 3,00 ლარი.
5. წიგნი-აირჩიე სიკეთე საოცრება 1 ცალი 12,90 ლარი.

5. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება „შემსყიდველთან", ერთი კი „მიმწოდებელთან" და წარმოადგენს 2017 წლის 1 ივნისს დადებული N15 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

6. შეთანხმება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შემსყიდველი:

სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ
არაგვისპირის საჯარო სკოლის დირექტორი /მ.არაბული/

მიმწოდებელი:

შპს „ ბიბლუსი"-ს დირექტორი /ი.გაგნიძე/